ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N9

(გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლებით)

ქალაქი ბათუმი იანვარი 2021 წელი

ერთის მხრივ სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ზაურ ახვლედიანისა და მეორეს მხრივ შპს „ნსპ.გე" წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ჩუბინიძის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტისა ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის საინფორმაციო მხარდაჭერა საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი www.nsp.ge-ს, www.region.ge-ს და www.newspress.ge-ს ვებ-საიტებზე. აღნიშნული პორტალების ვებ-გვერდებზე განხორციელდება დამკვეთის სანფორმაციო მხარდაჭერა (ინტერვიუ, სტატია)(შემდგომში "მომსახურება") დამკვეთის სურვილისამებრ. (CPV92400000).

1.2. დაკვეთის ფორმირება, რეკლამის ზომები, განთავსების ადგილი და სხვა ტექნიკური სახის სამუშაო წინასწარ თანხმდება ორივე მხარის მიერ.

2.მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია ჩემოთვლილი ვებ-გვერდების საშუალებით:

1. მისცეს შემკვეთს ინფორმაციის გაცნობისა და გამოყენების შეუზღუდავი შესაძლობა;

2. საჭიროების შემთხვევაში ვებ-გვერდზე განათავსოს დამკვეთის სარეკლამო ბანერი;

3. შეუქმნას შემკვეთს საინფარმაციო არქივის გაცნობისა და გამოყენების შეუზღუდავი შესაძლებლობა;

4. შემკვეთს მისცეს ფოტომასალისა და ფოტოარქივის გამოყენებისა და გაცნობის შეუზღუდავი შესაძლებლობა;

5. განახორციელოს ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი მედიაღონისძიების (პრესკონფერენცია, ბრიფინგი, სემინარი, პრეზენტაცია და ა.შ. ანონსი. განათავსოს წინმსწრები და პოსტფაქტუმ ინფორმაციები.

6. სტანდარტული ინფორმაციის სახით გაავრცელოს დამკვეთის განცხადება ან მისთვის სასურველი პერსონის კომენტარი;

7.ორგანიზაციის სურვილის შემთხვევაში, ანონსის პარალელურად დაამზადოს წინმსწრები ინფორმაცია მის მიერ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ და განათავსოს ღონისძიებამდე ერთი დღით ადრე და ღონისძიების დღეს, დილის საათებში.

8. ფოტოუზრუნველყოფის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაციები გაავრცელოს დამკვეთისათვის სასურველ ფოტოსთან ერთად;

9. დამკვეთის ინტერესის შემთხვევაში სააგენტოს ვებ-გვერდის თავფურცელში ე.წ. „სლაიდში", 2-3 საათის განმავლობაში განათავსოს მასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ფოტო.

2.2 შემკვეთი ვალდებულია:

- ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- დროულად და სრულად გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის გათვალისწინებული თანხა;
- შემსრულებლის მასალების (ინფორმაცია, ფოტო, ინტერვიუ, ანალიტიკა.) გამოყენების შემთხვევაში მიუთითოს პირველწყარო - საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი nsp.ge;

2.3 კონფიდენციალურობა

შემკვეთი ვალდებულია მკაცრად დაიცვას შემსრულებლის საიდუმლოება, არ გააცნოს მესამე პირებს და არ გაავრცელოს საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალურად ჩაითვლება ყველა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამაც შეიძლება რაიმე სახის ზიანი მიაყენოს საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის საქმიანობასა და განვითარებას.

- შემკვეთისათვის საარქივო მასალის გამოყენების მიზნით მიცემული პაროლი კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი მესამე პირთათვის ხელმისაწვდომობა.

3. მომსახურების ღირებულება

3.1 ამ ხელშეკრულების 1.1-ით გათვალისწინებული მომსახურების ერთი თვის ღირებულება შეადგენს 300 ლარს დღგს გარეშე. გადახდა განხორციელდება ყოველი თვის ბოლოს, მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.2 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.3 სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 3300 (სამი ათას სამასი) ლარს. ფასი არის მყარი და არ ექვემდებარება ცვლილებას ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

3.4 გაწეული მომსახურების საფუძველზე მხარეებს შორის ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე შედგება წინა თვის მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადასტურდება გაწეული მომსახურების ხელშეკრულებასთან შესაბამისობა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეები პასუხისმგებელნი არიან ერთმანეთის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის, თუ იგი დაუძლეველი ძალის მოქმედებით არ იყო გამოწვეული.

4.2 მხარეთა შორის წარმოშობილი დავის ურთიერთმოლაპარაკებით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს .

4.3 მხარეები იღებენ ვალდებულებას ხელშეკრულების პირობები მესამე პირებს არ გააცნონ.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 1 თებერვლიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.2 დამკვეთი უფლებამოსილია ცალმხრივად და უპირობოდ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება 15 დღით ადრე გაკეთებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

5.3 მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოშლის სხვა საფუძვლები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დასკვნითი დებულებები

6.1ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია წერილობით ორივე მხარის ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

6.3 მხარეები ადასტურებენ რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას.

6.4 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.

6.5 ამ ხელშეკრულებით მხარისათვის მინიჭებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს მასზე უარის თქმას.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის სააგენტო
საქართველო, ქალაქი ბათუმი
გუდიაშვილის ქ.N4
ს/კ 245631455

მიმწოდებელი:

შპს „ნსპ.გე"
საქართველო, ქ.თბილისი
აღმაშენებლის 23
ს/კ 415593414
ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი"
მფო: LBRTGE22
ა/ა GE25LB0113119589035000

სააგენტოს დირექტორი

ზაურ ახვლედიანი

დირექტორი

ალექსანდრე ჩუბინიძე